

სააკაშიელს როცა დასჭირდება, ნოღაიდელს მაშინ დაიჭერს

გაზეთი “ახალი თაობა” – 30 დეკემბერი, № 334, 2009

„ნოღაიდელი თავიდან ბოლომდე სახელისუფლო პროექტია. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს არ არის ნაციონალების პროექტი. ეს პროექტი აწყობს სააკაშიელსაც და პუტინსაც. ნოღაიდელი იყო ამ მთავრობის ფინანსთა მინისტრიც და პრემიერ მინისტრიც. რა, შეცდომები და გადაცდომები არ ჰქონია ნოღაიდელს? მისი გაჩუმება რომ უნდოდეთ, ვერ იზამენ?”

„სახაზინო ვალდებულებებით რომ გამდიდრდა ნოღაიდელი, ანდა გაიხსენეთ ოქრუაშიელის ხალხი რომ შევარდა მასთან ფინანსთა სამინისტროში და შემდეგ სააკაშიელის თანდასწრებით რომ მოხდა საქმის გარჩევა. ეს ყველაფერი არსებობს. როცა უნდათ, მაშინ მისცემენ ნოღაიდელს პასუხისგებაში. შეიძლება სულაც რამე დააბრალონ. მე ზუსტად არ ვიცი, არის თუ არა ნოღაიდელი რა,ეში დამნაშავე, მაგრამ მისი გაჩერება და გაჩუმება რომ უნდოდეთ, მოახერხებენ კიდევ”.

გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით მიმდინარე წელს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარებას, რამდენად წარმატებული წელი იყო და იყო თუ არა მართლაც ისეთი რევოლუციური გარდატეხები ეკონომიკაში, როგორც ამას ხელისუფლება და პრეზიდენტი წარმოადგენს?

– 2009 წლის შეფასება არის ერთმნიშვნელოვანი: ეს იყო ეკონომიკური კრიზისის წელიწადი და საქართველოს ეკონომიკის ისტორიაში ძირითადად ასეთი შეაფასებით შევა. ეს არის წელი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც ჰქონდა ფონად გლობალური ფინანსური კრიზისი და რუსეთის აგრესია. რუსეთის აგრესიამ ქვეყნის ეკონომიკას ნეგატიური შედეგიც მოუტანა და პოზიტიურიც, ამაზე ხშირად ვსაუბრობ, როგორც ომის პარადოქსზე. იმიტომ, რომ ომი თავისთავად ცუდია, ხოლო ომის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისადმი

უცხოელი ინვესტორების ნდობა დაქვეითდა, ქვეყანამ მიიღო დამატებითი ნგრევა, დამატებითი ხარჯი იგივე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის, თუმცა ის მოვლენები რომ არა, გლობალური ფინანსური კრიზისი პირობებში, საქართველოს მნიშვნელოვანი ფინანსურ პაკეტს დახმარებისა არავენ არ გამოუყოფდა. აქედან გამომდინარე, 2009 წელი ქვეყანაში ეს არის კრიზისის წელიწადი. ამას ცხადყოფს თვითონ სახელმწიფოს ოფიციალური ინფორმაცია. თუ შევალთ სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, იქაც ჩანს, რომ 2009 წელს პირველ, მეორე და მესამე კვარტალში (მეოთხე კვარტლის ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არის) იყო ეკონომიკური კლება. პირველ კვარტალში იყო 5%-ზე მეტი, მეორე კვარტალში – 10%-ზე მეტი, მესამე კვარტალს აჩვენებენ 1%-ზე ცოტა მეტ კლებას. საგალუტო ფონდის შეფასებით მოსალოდნელია, რომ წელიწადი უნდა იყოს 4%-იანი ვარდნით. შეიძლება რეალურად მეტიც კი იყოს. კიდევ ერთი პარამეტრი, რითაც დასტურდება კრიზისი, ეს არის საგადასახადო შემოსავლების გეგმა, რომელიც ნახევარი მილიარდი ლარით იქნა შემცირებული მთავრობის მიერ 2009 წლის ივლისის თვეში. ანუ ეკონომიკაში შესაბამისად მცირდება ის წარმოება და მომსახურება, საიდანაც მიღებული გადასახადები უნდა გადახდილიყო ბიუჯეტში. 500 მლნ-იანი კლება ნიშნავს საგადასახადო შემოსავლების 10%-ზე მეტით შემცირებას. რაც ასევე სერიოზული მაჩვენებელია კრიზისისა.

– **გარკვეული პერიოდი ხელისუფლება არ აღიარებდა კრიზისს, მიუხედავად იმისა, რომ შექმნა ანტიკრიზისული კომისია. რეალურად ეს სიტყვა იხმარეს 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, პოსტკრიზისული ბიუჯეტით. რამდენად შეძლო ხელისუფლებამ გადაეფარა ქვეყანაში რეალურად არსებული კრიზისი და შეძლო რთული სიტუაციისთვის დაადწია თავი?**

– კრიზისს ხალხი უფრო მძიმედ იგრძნობდა, რომ არა უცხოური დახმარება. უცხოურმა დახმარებამ კრიზისი შეამსუბუქა. ისევ მაგალითს მოვიყვან: ნახევარი მილიარდით ხომ შეამცირეს საგადასახადო შემოსავლების გეგმა, მთლიანად ბიუჯეტი კი არ შემცირებულა, პირიქით, 800 მლნ-ზე მეტი ლარით გაიზარდა, საიდანაც 260 მლნ იყო სახაზინო ვალდებულებების ემისია, ანუ სახელმწიფომ ისესხა ფული კომერციული ბანკებისაგან. მაგრამ დანარჩენი უცხოური დახმარებაა. სწორედ ის, რომ ბიუჯეტში მოხდა საგადასახადო შემოსავლების შემცირება, რაც ეკონომიკის ვარდნის

დასტურია, ეს არ აისახა ბიუჯეტზე იმიტომ, რომ ქვეყანამ მიიღო სხვა რესურსი, დახმარების რესურსი. მან შექმნა იმის ილუზია, რომ ქვეყანა არ არის ისე მძიმე კრიზისში და სწორედ ამან მისცა საფუძველი, რომ მთავრობა მანიპულირებდეს სიტყვებით და აპირებდეს იმას, რომ ხან თქვას – არ არის კრიზისი, ხან თქვას – გლობალურმა კრიზისმა გვერდი აგვიარა, თან თქვას, რომ გლობალური კრიზისი მხოლოდ საქართველოში დასრულდა...

– ქამრების შემოჭერის პოლიტიკა იყო თუ არა საერთოდ და დასრულდა თუ არა?

– ქამრების შემოჭერა რას ნიშნავს, თუ სახელმწიფო პარლამენტისაგან შაპიტოს აკეთებს (ცირკი შაპიტოს მსგავსად). პარლამენტს აქვს შესანიშნავი შენობა, შესანიშნავი სხდომათა დარბაზი, ფუნდამენტური შენობა და რა საჭიროს სხვა დარბაზის მშენებლობა? მოძრავი ცირკი არსებობს, მაგრამ მოძრავი პარლამენტი უბრალოდ ნონსენსია... ამ დროს გაუგებარია აქ რუსთაველზე რომ დიდი დარბაზია, აქ რა უნდა ხდებოდეს. თვითონ დარბაზის პრივატიზაციას ხომ არ გააკეთებენ? ეს თუ გნებავთ ნახევრად ხუმრობად ჩათვალეთ. არ ვიცი ამ ტვინმოდრეცილი ხალხის თავში კიდევ რა აზრი მოიხარშება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ქამრების შემოჭერაზე არ მეტყველებს. იქ მარტო დეპუტატები კი არ უნდა მოძრაობდნენ, აპარატიც უნდა მოძრაობდეს. აბა დეპუტატი თავისი თანაშემწის, თავისი კომიტეტის თუ ფრაქციის აპარატის გარეშე რა არის? მე როგორც ყოფილი დეპუტატი გეტყვით, რომ შეუძლებელია თუნდაც ყველაზე დაბალეფექტიანი მუშაობა დეპუტატისა, თუ მას არ ეხმარება აპარატი. თუ ის სერიოზულად არის ჩაბმული მუშაობაში, მაშინ აპარატის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია. ხომ არ შეიძლება სხდომები იქ იმართებოდეს და აპარატი თბილისში რჩებოდეს. აპარატი უნდა მიდიოდეს რამდენიმე დღით ქუთაისში, იქ უნდა ცხოვრობდეს, მერე უნდა მოდიოდეს რამდენიმე დღით თბილისში. ეს ქამრების შემოჭერას ჰგავს? ამბობენ, რომ ეს იქნება 2012 წლიდან, მაგრამ 2012 წელს ისეთი ცხოვრება გვექნება, რომ არ გვეცოდინება ფული რაში გადავყაროთ? შემოიძლია აქვე გავარგრძელო, რა დაჯდა ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტის რეზიდენცია, რომლის მშენებლობაც 2009 წელს დასრულდა. იმას კი არ ვამბობ, რომ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს ლამაზი რეზიდენცია. კი, უნდა ჰქონდეს, რატომაც არა, მაგრამ ვთქვათ, რა დაჯდა. არის კი ეს რეზიდენცია ადეკვატური ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის, მილიონობით გაჭირვებული ხალხის მდგომარეობის?

– ასევე პიარისთვის გაკეთდა “ეკონომიკური თავისუფლების აქტი” და სხვა ის პროექტები, რომლებიც ხელისუფლებამ ბიზნესის კრიზისიდან გამოსაყვანად, ეკონომიკური წინსვლისთვის და ა.შ. წამოიწყო?

– რაც შეეხება “ეკონომიკური თავისუფლების აქტს”, ეს საერთოდ კურიოზია. ერთხელ ასეთი ფრაზაც ვთქვი, რომ ეს არის საგადასახადო სისტემის იელოვიზაცია. იელოვას მოწმეს რომ შეეკითხებიან რომ გადარჩე, სისხლი უნდა გადაგისხაო, ის გეტყვის, რომ არაო. ზუსტად იგივეა, მოსახლეობას რომ ჰკითხო გადასახადი ავწიო თუ არაო, ვინ გეტყვის, რომელი ჭკუათმყოფელი, რომ ჩემი ჯიბიდან მეტი ამოიღეო. ყველა გეტყვის არას.

– ბევრი საუბარი იყო იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართული ბიზნესისთვის დღგ-ს უკან დაბრუნება, რაც ბიზნესმენებმა ხელისუფლების კეთილ ნებად და სურვილად წარმოაჩინეს. ეს ის ბიზნესმენები არიან, რომლებსაც ძალიან ბევრი “მეწველ ძროხას” ადარებს. რეალურად რა ნაბიჯი იყო ეს, რატომ წავიდა ხელისუფლება ამაზე და რამდენად გადაარჩენს ეს ქართულ ბიზნესს?

– დამატებული ღირებულების უკან დაბრუნების, უფრო სწორად ჩათვლის მექანიზმი დიდი ხანია ისედაც არსებობს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, დაბრუნების მექანიზმიც არსებობდა. უბრალოდ, ეს მექანიზმი იყო დაბლოკილი არა კანონის მიხედვით, არამედ მთავრობას არ ჰქონდა სურვილი, რომ ეს გაეკეთებინა. ეხლა ეს სააკაშვილმა ისე გააპიარა, თითქოს სიახლეა. თუ ეს პოლიტიკური ნებაა იმისა, რომ ბიზნესმენებმა ის მიიღონ, რაც კანონით ეკუთვნით, ეს კარგია. რაც შეეხება ამ მეწარმეების ქცევას, ეს ყველაზე კარგად გამოჩნდა ბოლო ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც მონოპოლიურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული ფარმაცევტულ სექტორში. ამ ინციდენტმა გამოავლინა, რომ თვითონ ბიზნესმენებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია მოქალაქეობრივი სილაჩრე. გაიხსენეთ, პრეზიდენტი შეხვდა პენსიონერებს, რომელსაც ესწრებოდა ჯანდაცვის მინისტრიც. პრეზიდენტმა თქვა, სამი ფორმაა ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოდგენილი, რომლებსაც პარლამენტში ყავთ მფარველებიო. კი მაგრამ “პე-ეს-პეს” უსტაბაში რომ არის პარლამენტში, ის ნაციონალების მხარდაჭერით არ არის, თუ სხვამ შეიყვანა პარლამენტში? ამის შემდეგ კი ავერსის ხელმძღვანელი გამოდის ტელევიზიით და ტირის, რომ მას არაფერი არ

დაუშავებია, საცოდავი ხმით კნაოდა. ეს იყო შესანიშნავი მაგალითი მოქალაქეობრივი სილაჩრის.

– ანუ სამართლიანად უწოდებენ ბიზნესის წარმომადგენლებს “მეწველ პროსებს”?

– მე აქ უფრო სხვა სიტყვა მინდა ვიხმარო, ეს ჩემი აზრით მოქალაქეობრივი სილაჩრეა. „ავერის” წარმომადგენელმა თქვა, მე კანონი არ დამირღვევია და ფულს ვისაც მინდა იმას გადავუხდი წინასაარჩევნო კამპანიის დროსო. ლევან გაჩეჩილაძე რომ გამხდარიყო პრეზიდენტი, ავერსი და მისნაირ კომპანიები ხომ უკვე გაჩეჩილაძის მხარდამჭერ პარტიებს დააფინანსებდნენ საპარლამენტო არჩევნებში? სილაჩრედ იმიტომ მივიჩნევ ამას, რომ მათ უნდათ ხელისუფლებას მისცენ ფული და თანაც ხმამაღლა ვერ საუბრობენ საკუთარ პრობლემებზე.

– ბატონო ლადო, პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ კეთდება რეკლამები, რომ კანონი შეიცვალა და წამლები გაიფლავდა.

– სინამდვილეში არაფერი შეცვლილა. რაც პრეზიდენტმა თქვა, იმის გაკეთება ფიზიკურად მეორე დღეს ვერ მოესწრებოდა. ესაც სილაჩრის მაგალითია. თუ რაღაცეებს აიაფებ, ეს ნიშნავს, რომ თუ მისი ფასი ხელოვნურად არ გქონდა გაბერილი, სხვა წამალი უნდა კიდევ მეტად გააძვირო. თუ იაფფასიან წამლებს აიაფებ, გამოდის ძვირადღირებულ წამლებს კიდევ უფრო აძვირებ. ასეთი წამლები კი იმათ სჭირდებათ, ვისაც უფრო სერიოზული დაავადება აქვს. რა გამოვიდა, ვინც უფრო მძიმედ არის ავად, იმან იმაზე მეტი უნდა გადაიხადოს, ვიდრე დღეს ის წამალი ღირს. ასე, რომ არანაირი კანონით წამლების გაიაფებაზე არ არის ლაპარაკი.

– რამდენად არის მონოპოლია ფარმაცევტულ ბაზარზე და რეალურად იყო თუ არა პრეზიდენტის მხრიდან მერაბიშვილზე დარტყმა, როცა პოლიტიკოსები საუბრობენ, რომ ფარმაცევტულ ბაზარს მერაბიშვილი აკონტროლებსო.

– რაც შეეხება მონოპოლიებს, ძალიან საინტერესო რამ ხდება. პენსიონერებთან საუბარში სააკაშვილმა თქვა მონოპოლიები არისო. ამ დროს მის გვერდით ზის მონური მორჩილებით ჯანდაცვის მინისტრი და ხმას არ იღებს, თავს უკრავს ყველაფერზე, ანუ დაეთანხმა, რომ მონოპოლიებია. მეორე დღეს, როცა ჟურნალისტები კვიტაშვილს ეკითხებიან, პასუხობს: მონოპოლიები არ არისო. ე.ი. როგორც კი ჯანდაცვის მინისტრი სააკაშვილს ვერ ხედავს, ის შედარებით გათამამდა და ხმა ამოიღო. როგორი მონოპოლიაა,

როცა სამი ფარმაცევტული ფირმა ბაზრის 85%-ს აკონტროლებს. ორი დღის შემდეგ კვიტაშვილის მოადგილე აცხადებს 85%-ს კი არა 60%-ზე ნაკლებს აკონტროლებენო. ვინ თქვა აქედან სიმართლე? კვიტაშვილის მოადგილის თქმით, ფარმაცევტულ ბაზარზე სამი ფირმაა და ეს ოლიგოპოლიააო. ამათ ისაც არ იციან, რომ მონოპოლიაა, როცა ბაზარზე ორის სამი ფირმა პირშეკრული მოქმედებს. ასეთ ოლიგოპოლიურ ბაზარს ჰქვია მონოპოლიური ბაზრის ნაირსახეობა. რა მნიშვნელობა აქვს ერთი ტურა ჩაგყლაპავს თუ გაერთიანებული სამი? ეს კომპანიები ერთმანეთთან შეკრული არიან და ერთი ფასწარმოქმნის პოლიტიკა აქვთ. უფრო მეტიც, რომელიმე თუ იწყებს ერთი წამლის გამოშვებას, მეორეს უკვე იმპორტული აღარ შემოაქვს. მაგალითად, შემოდოდა წამალი “ტაინელოლ ქოულდი”, მაგრამ როგორც კი ერთერთმა ქართულმა ფარმაცევტულმა კომპანიამ დაიწყო “ტაიქოლდის” გამოშვება, ტაინელოლ ქოულდი აღარ შემოდის საქართველოში. ეს ხომ აშკარა გარიგებაა, რომ ამ ფირმის წამალი გაიყიდოს მთელ ქსელში? აი ამას ჰქვია “ოლიგოპოლია”, ანუ გარიგება ხდება ბაზრის მსხვილ აგენტებს შორის. რაც შეეხება მერაბიშვილს, რა შემთხვევაშია გითხრათ. გავიხსენოთ 2007 წლის ოქტომბრის მთავრობის სხდომა, რომელიც ტელევიზიით გადაიკა და სადაც იხილებოდა მარილის მონოპოლიის საკითხი და მაშინ გაბრაზებული პრეზიდენტი დააწყნარა მერაბიშვილმა იმით, რომ თურმე მარილი ჰქონია შსს-ს, ბაზარზე გაიტანდა და ბაზარზე ფასების ზრდის საკითხს ჩააცხრობდა. ამის შემდეგ მერაბიშვილმა მიიღო დავალება პრეზიდენტისგან, შაქრის ბაზარსაც მიმიხედო. რა შუაშია შს მინისტრი და მონოპოლიური ბაზრის რეგულირება? მაგრამ ეს დავიწყებას მიეცა იმიტომ, რომ ამას მოჰყვა 7 ნოემბერი, რამაც ყველაფერი გადაფარა...

– ბატონო ლადო, რამდენად მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებს, აქციებს ქვეყნის ეკონომიკაზე?

– გამოსვლები 9 აპრილს დაიწყო. პირველი კვარტლის შედეგებით საქართველოს ეკონომიკაში 5%-ზე მეტი იყო კლება. ეს არის სახელმწიფო სტატისტიკის ინფორმაცია. ანუ კრიზისი დაწყებულია ოპოზიციის გამოსვლებამდე. ხელისუფლებამ მეორე კვარტალში სტატისტიკას აჩვენებინა 10%-იანი ვარდნა, რომ ყველაფერი ოპოზიციას და საკნებს დაბრალდებოდა. მესამე კვარტალში კი მხოლოდ 1%-იანი კლება აჩვენებინა. სტატისტიკა რომ ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენება, ეს ყველამ იცის. მაგრამ აქ მეორე რამეა. ჩემთვის მაინც გაუგებარია, როგორც შეიძლება

რუსთაველზე რამდენიმე საკანს მოეხდინა მთელი ქვეყნის ეკონომიკის პარალიზება. პარალიზება მოხდა იმის გამო, რომ ქვეყანაში იყო ეკონომიკურ კრიზისი. „ელიტ ელექტრონიკსში“ რომ შევარდნენ, ეს არც ოპოზიციასთან არის დაკავშირებული და არც კრიზისთან.

– რადგან საკნები ახსენეთ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს საკნები ფე-ეს-ბეს პროექტი იყო და ოპოზიცია რუსეთიდან ფინანსდებოდა.

– 7 ნომბრის შემდეგ, როცა საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ქვეყანაში, მაშინ ითქვა, რომ თურმე ეს ოპოზიციური პარტიების ლიდერები რუსეთის აგენტები იყვნენ, რამდენიმეზე ძეხნა იყო გამოცხადებული, ნათელაშვილი მაღვაში იყო. მერე როცა დასავლეთიდან თითი დაუქნიეს ჩვენს ხელისუფლებას, მერე ამაზე ლაპარაკი შეწყდა. ბრალდებები იყო წაყენებული იგივე კონსტანტინე გამსახურდიაზე, რომელიც ახლა დეპუტატი გახდა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობს. როცა მიტინგები იყო, მაშინ ხომ არ უთქვამს სააკაშვილს, რომ ეს საკნები ფე-ეს-ბეს პროექტი იყო, რატომ? იმიტომ, რომ ახლა ეს საპროტესტო ტალღა ჩამქრალია.

– პრეზიდენტმა ეს განცხადება ზურაბ ნოღაიდელის რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებას დაუკავშირა.

– რაც შეეხება ნოღაიდელს, ჩემი აზრით, ნოღაიდელი თავიდან ბოლომდე სახელისუფლო პროექტია. ვერაფერს დამარწმუნებს, რომ ეს არ არის ნაციონალების პროექტი. ეს პროექტი აწყობს სააკაშვილსაც და პუტინსაც. შეხედეთ, ნოღაიდელი იყო ამ მთავრობის ფინანსთა მინისტრიც და პრემიერ მინისტრიც. მე თქვენ გეტყვით შეცდომები და გადაცდომები არ ჰქონია ნოღაიდელს? მისი გაჩუმება რომ უნდოდეთ, ვერ იზამენ? თუნდაც ის თემა ავიღოთ, სახაზინო ვალდებულებებით რომ გამდიდრდა, ანდა ის თემა ავიღოთ, უვანიას სიცოცხლეში ოქრუაშვილის ხალხი რომ შევარდა ფინანსთა სამინისტროში და შემდეგ სააკაშვილის თანდასწრებით რომ მოხდა საქმის გარჩევა. ეს ყველაფერი არსებობს. როცა უნდათ, მაშინ მისცემენ ნოღაიდელს პასუხისმგებაში. შეიძლება სულაც რამე დააბრალონ. მე ზუსტად არ ვიცი, არის თუ არა ნოღაიდელი დამნაშავე, მაგრამ მისი გაჩერება და გაჩუმება რომ უნდოდეთ, დააბრალებდნენ კიდევ რამეს. უფრო მეტიც, ნოღაიდელი იმდენად არაპოპულარულია საზოგადოებაში, ტყუილიც რომ დააბრალონ, მის მხარდასაჭერად დიდად არავინ მოიკლავს თავს. ეს არაპოპულარული სახე იწყებს რუსეთთან კონტაქტს და ხვდება პუტინს. ეს ის სცენარია, როცა სააკაშვილი ნოღაიდელს რბილად გააკრიტიკებს: მას აწყობს რუსეთთან

კონტაქტზე გავიდეს არა ვიღაც ნორმალური და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერილი პიროვნება, არამედ ისეთი კაცი, რომელსაც დადლილს ეძახიან, რომელიც არაპოპულარულია და მისი გაკრიტიკება ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის სასიამოვნო და მომგებიანი იქნება. რუსეთთან ურთიერთობის ნიშის შესავსებად ნოლაიდელზე უკეთესს ვერავის ინატრებდა ხელისუფლება. ნოლაიდელის არც დაჭერა შეიძლება ახლა და არაფერი, პირიქით, რაც შეიძლება ხშირად უნდა ხვდებოდეს ნოლაიდელი რუსებს, სააკაშვილი იტყვის, ხომ არ მოგწონთ ეს კაცი, დაიდექით ახლა მას გვერდით. ამით სააკაშვილი თავის ხელისუფლებას კიდევ უფრო იხანგრძლივებს. ახლა წარმოიდგინეთ პუტინი, რომელიც მსოფლიოს აზანზარებს, ერთი პატარა საქართველოს ყოფილ პრემიერს ხვდება. რატომ? იმიტომ, რომ პუტინმაც შესანიშნავად იცის, ნოლაიდელს რომ თავზე ხელს გადაუსვამს, ამით მიშას საქმე კეთდება.

– ამას ოპოზიცია ვერ ხვდება, რომელიც ბოლო დროს ნოლაიდელის გვერდით დადგა და კონსულტაციებს აწამობს?

– გეტყვით, ჩემთვის შოკი იყო ზვიად ძიძიგურის ურთიერთობა ნოლაიდელთან. ვიზიარებ იმ აზრს, რაც არასამთავრობოების ნაწილმა და ჟურნალისტებმა თქვეს ნოლაიდელთან მიმართებაში. ჩათვალონ მეც მათ გვერდით ვარ. ჩემთვის მოულოდნელი იყო ძიძიგურის საქციელი, მე მას ვიცნობ, პატივს ვცემ და ძალიან გული დამწყდა, როდესაც დავინახე ნოლაიდელთან ღამის ჩახუტება. ამით ის პრაქტიკულად ეხმარება სააკაშვილს მისივე საქმის განხორციელებაში. ოპოზიციის გარკვეული ნაწილი მზადაა ნოლაიდელის ღიდერობა აღიაროს – მას ხომ პუტინიც კი შეხვდა! ეს სცენარიც იდეალურია ხელისუფლებისათვის...

– დაბოლოს, ბატონო ლადო, რადგან ნოლაიდელზე და რუსულ ინტერესებზე ვსაუბრობთ, მან განაცხადა, რომ პრაიმერი რუსული ფინანსების გარეშე დაფინანსდება, ჩვენ ეს არ გვიჭირსო.

– რაც შეეხება პრაიმერს, ეს ყველაზე დიდი შეცდომაა. რა უნდა პრაიმერის შედეგების გაყალბებას. შუბლზე ხო მარ აწერია ადამიანს, რომ ის ოპოზიციის მხარდამჭერია. რამდენი იქნება ამ გამოკითხულებს შორის შს ორგანოების თანამშრომელი, რომელიც ოპოზიციურ კანდიდატებს შორის ყველაზე სუსტს მისცემს ხმას სპეციალურად, რომ პრაიმერში გამარჯვებული ის გამოვიდეს. ანუ ბლეფი რომ გათამაშდეს. პრაიმერი ჩვენს პირობებში არის

შესანიშნავი მექანიზმი ბლეფის გასათამაშებლად. დავიჯერო, ოპოზიცია ამას ვერ ხვდება?

– ანუ პრაიმერის ჩატარება შეცდომაა?

– პრაიმერი ამ ხელისუფლების პირობებში არ არის უბრალოდ შეცდომა. ეს არის ხელისუფლების თამაში, რომ თვითონ კანდიდატი იყოს არა რეალური ოპოზიციონერი, არამედ – ბლეფი. აქ ერთი რამეა: თუ ნოღაიდელი დაარღვევს იმ თამაშის წესებს, რომელიც ნაციონალებმა განუსაზღვრეს, თუ თავში აუვარდება და მართლა ოპოზიციონერობას დააპირებს, მერე კი დაიდება მის წინააღმდეგ კომპრომატები. ნოღაიდელი გინდ ისე და გინდ ასე, ქართულ საზოგადოებაში რომ პოპულარული ვერ გახდება, ამაში დარწმუნებული ვარ. 7 ნოემბერი რომ მოეწყო, ვინ იყო მაშინ ნოღაიდელი პრემიერი არ იყო? საგანგებო მდგომარეობა ვინ გამოაცხადა კონსტიტუციის დარღვევით. საღარო აპარატებზე რომ ააგორა სკანდალი, ვინ იყო ის კაცი? საქართველოში მეცნიერება, განათლების სისტემა რომ მოსპო ეს მარტო ლომია იყო? ახლა რომ აკრიტიკებს ხელისუფლებას, რას ნიშნავს? ასე რომ, დღეს ნოღაიდელის ოპოზიციონერობა აბსოლუტურად გამორიცხულია.

შორენა კოწოწაშვილი